

## ფიქრები უცხოეთში

მგოსნური გრძნობა მორევით  
ვფრინავ მუღმივალ ცაშია,  
ათასი ფიქრი ირევა  
ჩემს ჭკუა-გონებაშია.

გულს ერთვის შავი ნალველი,  
როგორც მდინარე ბღვაშია.  
სახე ნაოჭით ივსება  
თეთრი მერევა თმაშია.

რამ გადმომავლო, რას ვეძებ  
ამ უცხო ქვეყანაშია?  
ვინ ამიკრძალა სიცოცხლე  
საკუთარ მთა და ბარშია.

სამშობლოს გულს მოხვევია  
შავი ძაძების არშია.  
თქვენ გეკითხებით დღე და ღამ  
მითხარით, საქმე რაშია?

რად ძუნწობს ქვეყნიერება  
რით არის ამ ყოფაშია?  
სიმართლეს თავსა კვეთავენ  
მართალი სულ საკანშია.

თავისუფლებას ახრჩობენ,  
სინამე ეკალნარშია,  
თვით სილამაზეც გააქრეს  
ამ ვრცელსა ბუნებაშია.

ამგვარი შავი ფიქრებით  
ციდან ვეშვები მთაშია,  
არც ცოცხალი ვარ, არც მკვდარი,  
არცა მწყურია და მშია.

მოვუსვენარობ, დავდივარ,  
ქარ-ბუქში, ავსა, დარშია,  
გული დაიწვა ნალველით,  
ოცნება ლოდინ-ცდაშია.